ხუთშაბათი, 15 ივლისი, 1904 წ.

1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904

ხუთშაბათი, 15 ივლისი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 163 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 163

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

## რედაქციისაგან

**პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 2 მან. 75 კაპ. და ქალაქ გარედ 3 მან. 50 კაპ.

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—4)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაგანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძლიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**მ. ს. ელში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ბრ. ვ. სოზბოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროვატები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კროვატით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

## ქართველნი მკურნალნი:

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**ბაგაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

4 ივლისის ბრძოლა.—დაშიცაოსთან —რუსის თავისუფალი ფლოტი.—გენერალ რენენკამპფის ჭრილობა.—ტყვეთა ხარჯი.—წვრილი ამბები.

რუსის ჯარი, გრაფ კელლერის უფროსობით, ლიაოიანის გზით მოტიენლინის უღელტეხილისკენ მიმავალი, 4 ივლისს იაპონელების მოწინავე რაზმებს დაეცა. ბრძოლა დაიწყო დილის 4 საათზე და ნაშუადღევის 3 საათამდე გაგრძელდა. რუსებმა უკან დაიწიეს, წინანდელ ბინაზე, თხავუანთან, მდინარე ლიანხეს ხეობაში. ლონდონის გაზეთებს-კი ატყობინებენ, ვითომც იაპონელებმა გაპუძიაპუძამდე სდიეს, რომელიც ლიაოიანის ახლოა, 23 ვერსის სიშორეზე. ოფიციალურ ცნობებით, რუსებმა ამ ომში 1,000 კაცზე მეტი დაჰკარგეს.

როდესაც ამდენი მეომარი იღუპება, ძალა-უნებურად ეკითხები შენს თავს, რა აზრი ჰქონდა ამ ბრძოლას და შედეგი მსხვერპლს უღრის, თუ არაო?—ამბობს «მოსკოვსკი ვედომოსტი».

მოტიენლინის ბრძოლის აზრი ცხადია. იაპონელების მოწინავე ჯარმა უღელტეხილები დაიჭირა და წინ ფარდა აიფარა. რას სჩადიან ფარდას იქით, სად მიჰყავთ თვისი ჯარი, რას აკეთებენ და რას ამზადებენ,—ეს სულ საიდუმლოებით არის მოცული. ჩვენ არ ვიცით, რამდენი ჯარი ჰყავთ, რა ძალას წარმოადგენს და სად დაბანაკებს. მეტადრე საიდუმლოებით არის მოცული გენერალ კუროკის ლაშქარი, რომლისაც ძალიან ცოტა რამ ვიცით. ხან ამბობდნენ, ამ ლაშქარს ჯარი მიემატაო, ხან დალინის უღელტეხილისკენ გაამგზავრეს, ხანსიუანისკენ, ხან წინ წამოვიდა, ხან უკან დასწიესო. საჭირო იყო საჩქაროდ გამორკვეულიყო, რა ძალა დაუახლოვდა ლიაოიანს და ხომ არ შეუძლიან გზა გადაუჭრას იმ ჩვენს ჯარს, რომელიც დაშიცაოსთან არის? იქმნება მხოლოდ მცირე რაზმები დაუყენებიათ ამ უღელტეხილებზე და უმთავრესი ძალა სხვაგან მიუმართავთ, მაგალითად, ხაიჩენზე?

ამის გამორკვევა შეიძლებოდა მხოლოდ დიდის ჯარის გალაშქრებით, რომელიც მტერთან ბრძოლას არ მოერიდებოდა.

გენერალ კელლერს დავალებული ჰქონდა, უღელტეხილების დაჭერას არ გამოეკიდოს, არამედ იმოქმედოს მტრის რაოდენობის შესაფერად. თუ რომ უღელტეხილებზე მრავლად იქმნებოდა მტრის ჯარი, რუსები ბრძოლას არ ასტეხავდნენ, და თუ მცირე რაზმები დაუხვდებოდა, წინ უნდა წასულიყო და გამოკვლევა გაეფართოებინა, ვიდრე მტრის უმთავრეს ძალას არ წააწყდებოდა.

ამ რიგად, გენერალ კელლერის გალაშქრების აზრი ნათლადა სჩანს. თუ შესაძლებელი იყო ამ ჯარსისთვის, მტრის მარჯვენა ფრთას შემუსრავდა, თუ არა და, უკან დაბრუნდებოდა. გენერალ კელლერს ორი დივიზია ჰყავდა და უკან დაბრუნების შიში არ ექმნებოდა. ამ ჯარში ის პოლკებიც იყვნენ, რომელნიც ტიურენჩენში იბრძოდნენ, მდინარე იალუსთან, და რომლებსაც უნდოდათ ტიურენჩენში დაკოდილი გული შურის ძიებით გაემთელებინათ.

ოფიციალურის დეპეშით, სამწუხაროდ, მტკიცდება, რომ ჩვენს ჯარს არტილერია საკმაოდ არა ჰყოლია. ვიდრე მანჯურიის ლაშქარს ზარბაზნებს არ მივაშველებთ, ბევრს ვერას გახდება და მოლოდინში უნდა იყოს. გენერალ კაშტალინსკიმ უფანგუანის უღელგრეხილი ვერ დაიჭირა და გრაფ კელლერიც იძულებული იყო უკან დაეხია, რადგან შესაფერი არტილერია არა ჰყოლია.

რუსის ჯარი 15-19 საათი ფეხზე იყო ცეცხლსა და ქარს შუა, წვიმა-ავდარში, უსწორ-მასწორო და უგზო-უკვლო მთახეობებში.

რა შედეგი უნდა ჰქონდეს მოტიელინის ბრძოლას? —კითხულობს «მოსკ. ვედ» და თვითვე იძლევა პასუხს:

ჩვენ პირადად გვგონია, რომ ყოველივე უცვლელად დარჩება.

—

ფრანგულ გაზეთ «ტანის» სამხედრო მიმომხილველის აზრით, იაპონელებმა ჯერ დაშიცაო უნდა აიღონ და მერე ინკოუსა და ნიუ-ჩუანს მიჰყონ ხელი, რადგან ერიდებიან, რომ ზღვის ნაპირსა დ მდინარე ლიაოხეს შუა არ მოემწყვდნენ. ეს ვიწრო ადგილი დიდ მნიშვნელობიანია იაპონელებისათვის პოლიტიკურად, ხოლო სტრატეგიულად მათვის დაკეტილია, ვიდრე დაშიცაოს არ აიღებენ. და შიცაო ნიუ-ჩუანის რკინის გზის შტოს მანჯურიის რკინის გზასთან აერთებს და ხაიჩენის კარიც არის. აქედგან რუსებს შეუძლიათ გაიჩოუსკენ გაილაშქრონ და იაპონიის ჯარი მოიმწყდიონ რკინის გზის ლიანდაგსა და მდინარე ლიაოხეს შუა. (ნ. ვ.).

—

გენერალ რენენკამფს მარცხენა კანჭში მოხვედრია ტყვია, ძვალი გაუხვრეტია და მეორე მხარეს გავარდნილა. ძვალი არ დაზიანებულა. ჭრილობა საშიში არ არის, ხოლო მწვავეა და გენერალი სამს კვირას დარჩება საავადმყოფოში. თუმცა სვხაფრივ კარგად არის და სიარულიც შეუძლიან, მაგრამ უნდა მოსვენებით იწვეს; უმოძრაობა ძალიან აწუხებს. (რ. ვ.).

—

რუსის თავისუფალ ფლოტის გემების შესახებ, რომლებიც სამხედრო გემებად გადაუკეთებიათ, უცხოელთა გაზეთები ამბობენ:

რუსის «თავისუფალი» გემები შავის ზღვიდან გამოვიდნენ, სრუტეებს გასცდნენ, როგორც სავაჭრო გემები, და მხოლოდ თავისი თავი სამხედრო კრეისერებად გამოაცხადეს. ცხადია, რომ იმათ ოსმალეთის ნეიტრალიტეტი დაარღვიეს. ამ შემთხვევაში სულ ერთია, ხონთქრის ნება რთვა ჰქონდათ თუ არა. სხვა რუსის კრეისერებმა, თუ ხონთქარი არა, სახელმწიფოები ხომ მოატყუეს და, როგორც მდაბიოდ ამბობენ, ოინი ჩაიდინეს. რაკი რუსები ამ გზას დასდგომიან, ძნელად ითქმის, შემდეგში რას არ ჩაიდენენ. თავისუფალი ფლოტი ორმხრივი მახვილი ყოფილა და დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ამ ფლოტის გემები თეორიით კერძო საკუთრებაა და ფოსტასაქონელს ეზიდებიან, ომის დროს-კი სამხედრო კრეისერებად გადიქცევიან. ასევე იქცევიან სხვა სახელმწიფონიც და მეტადრე ინგლისი, რომელიც სუბსიდიას აძლევს კერძო თავისუფალ ფლოტს; ხოლო, რაკი ომი დაიწყო—და მას შემდეგ ხომ ექვსი თვეც გავიდა—რუსეთს მაშინვე უნდა გამოეცხადებინა, ამ გემებს სამხედრო კრეისერებად გადააკეთებს თუ არა... რუსებს ნება არა აქვთ, თავისუფალ ფლოტის გემები სანეიტრალო ნავსადგურებში ატაროს ქვა-ნახშირის მისაღებად, როგორც სავაჭრო გემები, და ზღვაზედ კი სამხედრო დროშა აფრიალოს. ესეთი საქციელი «საერთაშორისო ზრდილობის» წინააღმდეგია. თუ რომ რუსეთი პირდაპირ არ გამოაცხადებს, რომ თავისუფალ ფლოტის გემები სამხედრო კრეისერებად გადააკეთა, ინგლისის მთავრობას შეუძლიან პროტესტი განუცხადოს და სამხედრო გემებად არ მიიჩნიოს. ამასთანავე ამ გემების აფიცრებიც გამოურკვეველ მდგომარეობაში არიან, როგორც თვით გემებიც. (ნ. ვ.).

—

იაპონიის ზღვათა სამინისტროს გამოუცხადებია, რა ხარჯი უნდა გასწიოს იაპონიამ ტყვედ წაყვანილ რუსის ჯარის კაცების შესანახად ომის გათავებამდე. ამ განკარგულებით, აფიცერს ეძლევა საჭმელ სასმელად დღეში 1 მ. 20 კ., უნტერ-აფიცერს—55 კ., დაბალ ჯარის კაცს—35 კ., ჯიბის ფულად აფიცერს —30 კ., უნტერ-აფიცერს—15 კ. და დაბალ ჯარის კაცს—5 კ.; სამოგზაუროდ აფიცერს მიეცემა I კლასის ბილეთი და 2 მან. 10 კ., უნტერ აფიცერს—II კლასისა და 1 მან. 20 კ., და დაბალ ჯარის კაცს III კლასის და 90 კ.. სამარხად აფიცრისათვის—20 მან., უნტერ-აფიცრისა—15 მ. და დაბალ-ხარისხის ჯარის კაცისა 10 მან. (პ. ვ.).

—

ვაშინგტონიდგან იწერებიან, აქაურმა ერთის დიდის სახელმწიფოს საელჩომ დეპეშა მიიღო, რომ ინგლისის მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტა. ბოლო მოუღოს გემების ჰერა-ჩხრეკას. ამასთანავე ინგლისს ისეთი ღონისძიებაც მიუღია, რომელიც რუსეთს აიძულებს სრული დაკმაყოფილება მისცეს.

ვაშინგტონის მთავრობა გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს რუსეთის ფლოტის მოქმედებას და ყოველის ღონისძიებით დაიცავს ამერიკელთა გემებს, იმ შემთხვევაშიაც კი, ფოსტა რომ მიჰქონდეთ იაპონიაში. ამერიკის ესკადრას ტრიესტში დაევალა ფიუმეს წავიდეს.

იაპონიის გაზეთები ერთხმად ამტკიცებენ, დარდანელზე რუსეთის გემების გატარებით ოსმალეთმა ნეიტრალიტეტი დაარღვია და დრო დადგა, რომ ინგლისი თავის მოკავშირეს მიემხროს და ომში ჩაერიოსო. (ბ. ვ.).

—

შანჰაიდგან «დელი ტელ-ფს» დეპეშით ატყობინებენ, რუსების-მიერ დაღუპულ გემ «ხიპსანგზე» ხუთი ინგლისელი აფიცერი ყოფილაო. (რ. ვ.).

—

ლონდონიდგან დეპეშით იუწყებიან, ინგლისის მთავრობამ შესაწყნარებელი პასუხი მიიღო რუსეთის მთავრობისაგან «მალაკკას» შეპყრობის შესახებ. ამ რიგად, რაც ამ გემის შეპყრობას შეეხება, საქმე გათავებულად უნდა ჩაითვალოსო. (სავ. საგ.).

—

ციმბირის რკინის გზის ლიანდაგის დაცვა ადგილობრივ მცხოვრებთათვის დაუვალებიათ, რომელნიც მოვალენი არიან დარაჯები დააყენონ ლიანდაგის გასწვრივ და თვალ-ყური ადევნონ აგრეთვე ურმის გზებს, რომლებიც ჩინეთის საზღვრებისაკენ არის. (ტ. პ. გ.).

—

უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო რჩევის დადგენილების ძალით, სახელმწიფო ხაზინამ გადასდო პორტ-არტურის (ქვანდუნის ნახევარ კუნძულზე) დედათა გიმნაზიის შესანახად 1904 წელს 17,672 მან. 50 კაპ. ამასთანავე საერო განათლების მინისტრს დაევალა შემდეგში, 1905 წლიდგან ამ გიმნაზიის შესანახი ხარჯი საერთო სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში მოაქციოს. (რ. ვ.).

## ტფილისი

—

*** პეტერბურგიდგან გაზ. «კავკაზს» დეპეშით ატყობინებენ, რომ 12 ივლისს კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს.

გოლიცინი გაბედნიერებულ იქმნა და პეტერგოფში წარუდგა მათ იმპერატორებით უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორსა და ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულს.

*** კავკასიის სამედიცინო საზოგადოებამ თავის საპატიო წევრად აირჩია მანჯურიის ლაშქრის მთავარ-სარდალი, გენერალ-ადიუტანტი ა. ნ. კუროპატკინი. («ყაზ.»).

*** 12 ივლისს, მიხეილის პროსპექტზედ, სასამართლოს მოხელეებმა, პოლიციის დახმარებით, გასჩხრიკეს მე-207 № სახლი, ერთის ყალბ ფულის გამსაღებელთაგანის—სტეფან ვარდოვის — ჩვენებით. გაჩხრეკის დროს ეზოში იპოვნეს მიწაში დაფლული ორი ვედრა, ოქროსი და ვერცხლის ყალბის ფულით სავსე,—5 მანეთიანები, მანეთიანები, 25 კაპეიკიანები და აბაზიანები. თურმე ამ ყალბ ფულს სჭრიდნენ ამ სახლის ზემო სართულში, დავით ზუბოვის სადგომში. ზუბოვს უპოვეს აგრეთვე ოქროსი და ვერცხლის ფულის საჭრელი ორი მანქანა. ყალბ ფულს თურმე სჭრიდნენ სტეფანე ვარდოვი და დავით ზუბოვი, რომელნიც მრავლად ასაღებდნენ კიდეც ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილში და უფრო მომეტებულად კი ავლაბარში.

*** სოფ. იგდირიდგან (ერევნის გუბ.) გაზ. «კავკასს» დეპეშით ატყობინებენ, რომ იქ 10 ივლისს მოუკლავთ სურმალინის მაზრის ეფროსი ალექსანდრე ანტონის ძე ბოგუსლავსკი. მკვლელის კვალისათვის ჯერ ვერ მიუგნიათ. მიზეზი მკვლელობისა არ იციან. დამნაშავეთა შესაპყრობად ღონისძიებანი მიუღიათ.

*** გაზ. „Бак. Изв.“-ს თეირანელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ხოლერა იქ თანდათან თურმე სცხრება.

*** 17 ივლისს ბათუმიდან ტფილისში ჩამოვლენ გერმანელი მოგზაურები, ლეიპციგის კლუბის წევრნი. ტფილისიდან მოგზაურნი ეჩმიაძინს წავლენ იქაურ სიძველეთა დასათვალიერებლად. (ცნ. ფ.).

*** ქუთაისიდგან გაზ. «ცნ. ფურ.»-ს სწერენ: «სასამართლოს ბოქაული, მზრუნველთა თანადასწრებით, შეუდგა ს. თოფურიას საავადმყოფოს აღწერას. სხვათა შორის, აღმოჩნდა, რომ იმ ავადმყოფებზედ, რომელნიც განსვენებულის საავადმყოფოში წოლილან, დარჩენილი ყოფილა თამასუქებითა და ხელწერილებით 10,000 მანეთამდე ვალი. საავადმყოფოს აღწერა ამ ჟამად შეჩერებულია, რადგანაც ერთი მზრუნველი ქუთაისიდგან სადღაც წასულა».

*** იგივე გაზეთი გადმოგვცემს, რომ დაბა ხაშურის მცხოვრებთ სთხოვეს ტფილისის გუბერნატორს, ნება მისცეს პროვიზორს ს. წერეთელს ხაშურში გახსნას აფთიაქი. ხაშურში დღემდე აფთიაქი არ არსებობს.

*** როგორც იქმნა, ქუთათურებსაც გამოუღვიძნიათ და უკვე შესდგომიან ხოლერის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მიღებას, რომ ხოლერა არ გაჩნდეს ქუთაისში. მთელი ქალაქი 14 სასანიტარო ნაწილად გაუყოფიათ.

*** როგორც «ნოვ. ობოზ.»-ს ატყობინებენ, გორიჯვარის მთის ძირში, რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად, ასე 50 ნაბიჯზედ, გამოდის გოგირდის წყალი, რომელიც აქამდე შინ მიჰქონდათ, მცხოვრებნი ბანაობდნენ და ძლიერ შველოდა ქარითა და კანით ავადმყოფებს. რადგან ეს ადგილი ხაზინის ხელშია, ტყის მცველები, ვითომდა ხაზინის სასარგებლოდ, თითო ბოცკაში თხოულობენ 20 კაპ. და თითო კოკაში—10 კაპეიკს, ასე რომ, ეხლა ამ სამკურნალო წყლით თითქმის ვერავინ სარგებლობს. კარგი იქნებოდა, რომ ყურადღება მიექციათ ამ გარემოებისათვისაო,—სამართლიანად დასძენს გაზეთი.

*** ახალქალაქის მაზრაში ამ ჟამად მძვინვარებს წითელა. სოფ. გორელოვში ამ სენით ორის კვირის განმავლობაში ავად გამხდარა 4 სული, სოფ. ხერთვისში —45, ხოლო სოფ. არაგვში კი—12 სული.

*** ამას წინად გაზეთებში დაბეჭდილი იყო ახალი კანონი, რომლის ძალითაც პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეები ამიერიდგან განსახილველად უნდა გადაეცეს სამოსამართლო პალატას. ასეთი საქმეები ხალხის დაუსწრებლად გაირჩევა. ტფილისის სამოსამართლო პალატამ ამ დღეებში განსახილველად უკვე მიიღო რამდენიმე საქმე პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებ.

*** ბელგიის უსახელო საზოგადოებამ შეიმუშავა პროექტი, რომლითაც, როდესაც ტფილისში ელექტრონის ტრამვაი გაიმართება, სასახლის ქუჩაზედ მხოლოდ ერთი ლიანდაგი იქნება დაგებული და ვაგონები გვერდს აუვლის ერთმანეთს ლორის-მელიქოვის ქუჩისა და ნიკოლოოზის ვიწრო ქუჩით. ეს პროექტი წარუდგინეს ტფილისის გუბერნატორს, რომელმაც მოიწონა და უკვე დაამტკიცა.

*** მიწად მოქმედების სამინისტროს, «ნ. ო.»-ს სიტყვით, განუზრახავს გამოსცადოს ყარაიაზის საცდელ მინდორში ამერიკული მანქანა შრედერისა. ეს მანქანა ისე არბილებს და სჭრის სიმინდის ხმელ ფუჩეჩს (ჩალას), რომ საქონლისთვის მშვენიერი და რბილი საკვები მზადდება თურმე.

*** როგორც ოზურგეთის მაზრიდგან (გურია) გვატყობინებენ, იქ წელს სიმინდის მოსავალს კარგი პირი თურმე უჩანს.

*** ახალციხის მაზრის ზოგიერთ სოფლებში საქონელს ჭირი გასჩენია. ამის გამო ახალციხის მაზრის უფროსი ატყობინებს ტფილისის ქალაქის გამგეობას, ღონისძიებანი მიიღოს, რომ ტფილისში მორეკილ საქონელს არ გაუჩნდეს ეს ეპიზოოტია.

*** დღეს, 15 ივლისს, ქალაქის საბჭოს დარბაზში (ერევნის მოედანზედ) კავკასიის საიმპერატორო სამედიცინო საზოგადოება გამართავს სახალხო ლექციებს ხოლერის შესახებ ქართულსა, რუსულსა და სომხურს ენებზედ. ქართულს ენაზედ ლექციას წაიკითხავს ექიმი ვახ. სოლ. მუსხელიშვილი (საღამოს 7 საათ.), რუსულად ე. გ. ფილდოროვი (საღ. 6 საათზედ) და სომხურად ე—ლ. ხ. ქალანთარიანცი. (საღამოს 8 საათზედ). შესვლა უფასოა.

*** კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტის უფროს რედაქტორად, ე. ი. კონდრატენკოს მაგიერ, რომელმაც თავისისავე სურვილით სამსახურს თავი გაანება, დანიშნულ იქმნა უმცროსი რედაქტორი ამავე კომიტეტისა დ. დ. პაგირევი.

*** ბათუმის სამხედრო-საცხენოსნო ნაწილის უფროსად დაუნიშნავთ იასონ საბახტარაშვილი, ხოლო მის თანაშემწედ სარდიონ ქავთარაძე.

*** სამურზაყანოს ნაწილის უფროსი (სოხუმის ოლქშია), ნადვორნი სავეტნიკი ჩიკოვიძე დანიშნულ იქმნა სოხუმის ოლქის კოდორის ნაწილის უფროსად.

*** რედაქციამ მიიღო ახალი რუსული წიგნები 1) „Исповѣдь адвоката“, თხზულება მალაქია ბოლქვაძისა. წიგნი ძლიერ ფაქიზად და საუცხოვო ქაღალდზეა დაბეჭდილი (პეტერბურგში), შეიცავს 76 გვერდს და ჰღირს 60 კაპეიკად. ბ-ნს ბოლქვაძეს განუზრახავს სამ ნაწილად გამოსცეს თვისი თხზულება, რომელსაც ერთი საზოგადო სათაური ექნება: „ადვოკატის აღსარება“. უკვე გამოცემულს პირველ ნაწილში აღწერილია ადვოკატები, მეორე ნაწილში აღწერილი იქნება „საქირო ადამიანები“, ხოლო მესამეში კი—«კლიენტები». 2 „Матеріалы для исторіи грузино-армянскихъ отношеній“. Отвѣтъ на книжку кн. И. Г. Чавчавадзе: „Армянскіе ученые и вопіющіе камни“, თხზულება ქრ. ა. ვერმიშევისა. ეს წიგნიც პეტერბურგშია გამოცემული ძლიერ ფაქიზად, შეიცავს 225 გვერდს და ჰღირს 1 მანეთად.

---

## საქართველოს ამბები

ქალ. **თელავი.** 29 ივნისს თელავის ბიბლიოთეკის სადგომში მოჰხდა მის წევრთა საგანგებო კრება. ვიდრე კრება დაიწყებოდა, მთელი საათი ითათბირეს, საგანგებო კრებას რამდენი წევრი უნდა დაესწროს, რომ კანონიერი იყოსო. ბ-მა ხირსელიმ დაამტკიცა წინანდელ ოქმებით, რომ საგანგებო კრება კანონიერად ჩაითვლება, თუნდ $^1/_5$ წევრთა რიცხვისა დაესწროსო. უჩვენა ძველი საქმეები და განმარტა, რომ წინედ ამისთანა კრებაზე ნაკლებიც ესწრებოდა, მაგრამ მაინც კანონიერად ითვლებოდაო. როგორც იყო, მიიღეს მისი წინადადება და კრება დაიწყო. დამსწრენი დასხვად გაიყვნენ და ცალკ-ცალკე ადგილები დაიჭირეს. თავმჯდომარედ დაასახელეს ბ-ნი ი. ზარაფიშვილი. მემარცხნეთ მღვდელ პერტაიასა სთხოვეს თავმჯდომარეობა. მან უარი განაცხადა. ბ-ნი ზარაფიშვილიც უარს ამბობდა, მაგრამ დაითანხმეს და თავმჯდომარის სავარძელი დააკავებინეს. მდივნად ერთხმად ამოურჩიეს ახმეტელოვი. ბიბლიოთეკის პასუხის მგებელმა წევრმა მარქაროვმა აუხსნა კრებას მოწვევის მიზეზი: ძველ ბიბლიოთეკარს ვითხოვთ, რადგანაც ახალ ადგილის მიღების მსურველი რამდენიმე აღმოჩნდა და ზოგს ვინ უნდოდა, ზოგს ვინ, ამისთვის უმჯობესად ვცანი, კრება დამენიშნა და თქვენთვის მომენდო მისი არჩევა, თუმცა, წესდების ძალით, მე უფლება მაქვს, ვინც მინდა, დავაყენოო. მაგრამ ამ ჟამად არ მინდაო. მემარცხენე დასმა მიაძახა, უპირველეს ყოვლისა აგვიხსენით, ძველ ბიბლიოთეკარს რაზე ითხოვთო. ბ-მა მარქაროვმა უპასუხა, მიზეზი ბევრიაო. გაიმართა კამათი. დიდხანს ილაპარაკეს და ძლივს შეუდგნენ იმ საქმეს, რაზედაც იყვნენ მოწვეულნი. მემარცხენეთ თავისი გაიტანეს, უფლება მისცეს, ძველ ბიბლიოთეკარსაც ეყარა კენჭი. ამ რიგად დაასახელეს: ძველი ბიბლიოთეკარი სიდამონიძე, კურდღელაშვილი, ბადრიძე, ნადარეიშვილი და ერაძე. უკანასკნელი კრებაზე არ დაესწრო და სიიდამ გამორიცხეს. ვიდრე კენჭის ბარათებს დაურიგებდნენ, წაიკითხეს კურდღელაშვილის თხოვნა. ითხოვდა, წინედ, როცა ბიბლიოთეკარის მდგომარეობა არ იყო უზრუნველ ყოფილი, ორი წელიწადი ვიმსახურე, ხოლო ეხლა, როცა გააუმჯობესეს მისი მდგომარეობა, გთხოვთ ისევ მე მომცეთო. ბ-ნმა ხირსელიმ განაცხადა, ბიბლიოთეკარი ისეთი უნდა, რომ წიგნების შინაარსი იცოდეს, ნადარეშვილმა-კი არ იცისო. მაინც ყველას კენჭი უყარეს. ამოუვიდა თეთრი სიდამონიძეს—14 და კურდღელაშვილს 16. მემარცხენეთა დასი დამარცხდა. ბიბლიოთეკრად აირჩიეს კურდღელაშვილი და კრებაც გათავდა.

წევრი.

---

**ოზურგეთი,** 9 ივლისი. მაისის უკანასკნელ რიცხვებიდან დღემდე, როგორც ოზურგეთში, ისე ახლო-მახლო სოფლებშიაც, სულ მზიანი დღეებია, და ისეთი სიცხეები დაიჭირა, რომ დედამიწას სულ «ბღვირი» ასდის! ამდენის ხნის უწვიმობამ ნათესობას ცუდი დღე დააყენა; მაღალ ადგილებზედ რაც ყანები იყო, ისე გაახმო, რომ ჩალას დაამზგავსა არც ვაკე ადგილებს აყრია ხეირი. ხალხი უნუგეშო მდგომარეობაშია ჩაცვივნული, ცას შესცქერის და ღმერთს ევედრება, «წვიმა მოიყვანეო»! თუ კიდევ დიდ ხანს გასტანა ასე სიცხეებმა და წვიმა არ მოვიდა, შენი მტერია, მოსავალს ცუდი დღე დაადგება, რომელსაც კარგი პირი უჩანდა ამდენ ხანს...

საკვირველი ამბებია გურიაში. ამ ორი-სამის დღის წინად ს. სურებში მოჰკლეს ბლაღოჩინი მღ. ნიკო რამიშვილი. ეხლა, როგორც მოვიდა ამბავი დ. ჩოხატაურიდან, მოუკლავთ აზ. რაფიელ შარაშიძე. საზოგადოთ ძალიან გავრცელდა ქურდობა კაცის კვლა და ავაზაკობა.

---

სოფ. **სტეფან-წმიდა.** (ყაზბეგი—დუშეთის მაზრა). ამას წინად ჩვენი მრევლი დიდის ამბით გამოეთხოვა თავის მოძღვარს, ბლაღოჩინს მ. ნიკ. კანდელაკს. მ. კანდელაკმა მცირე ამაგი არ დასდო მრევლსა, რომელსაც შეაყვარა ეკკლესია და სკოლა. მ. კანდელაკი ნამდვილი მოძღვარი და მასწავლებელი იყო ხალხისა. გამოთხოვებისას სიტყვა წარმოსთქვა მასწავლებელმა და დაახასიათა მ. კანდელაკი, როგორც მოძღვარი, მასწავლებელი და მოღვაწე. სოფლის წარმომადგენელმა ბ-ნმა შადურმა მიართვა მღვდელს ძვირფასი ხატი მთავარ-ანგელოზისა და ძველებურის მოხევის წესით გზა დაულოცა, მადლობა გადაუხადა გაწეულ ამაგისათვის. სიტყვა მოახსენა მღვდელს სკოლის უფროსმა შეგირდმაც თავის ამხანაგების სახელით და მიართვა ძვირფასი ალბომი.

დამსწრე.

---

**რიონ-გაღმის კუთხე.** აქეთ დიდი გვალვებია; მეორე თვეა, წვიმა არა ყოფილა; სიმინდის ყანებს მეტად უჭირს, ბამბები ყველგან გახმა და ბოსტნებშიც არაფერი მოიძებნება.

გვალვამ ვენახებსაც დიდადავნო. დღეს, 10 ივლისს, დილას აქეთ მოღრუბლულია, მაგრამ წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილა ჯერ. წისქვილები აღარ ბრუნავს და სიმინდის დაფქვა ძლიერ გასჭირდა. სიმინდი მეტად გაძვირდა: ფუთი ოთხ აბაზად გახდა; ბევრი მკვიდრთაგანი ყიდულობს სიმინდს და ძლიერ უჭირთ ასეთის დიდის ფასის მიცემა. აქაურები კიდევ გავიტანდით თავს, მაგრამ გარეშე მაზრის მცხოვრებლებმა გაგვიჭირეს საქმე: ჩამოდიან და ურმებით გააქვთ სიმინდი გასასყიდად თავიანთ სოფლებში.

ღვინო კი ჯერ იაფია და მგონი კიდევ უფრო გაიაფდეს.

პარკის «სეზონი» გათავდა. წელს ძლიერ იზარალა ხალხმა. ჯერ იყო და თუთის ფოთოლი მეტად გაძვირდა და მერმე სიცხე ალხების გამო აბრეშუმი სანახევროდ ყველგან წახდა. მაგალითად, ბევრს ერთ კოლოფ თესლზედ ერთი ფუთი პარკი მოუვიდა. ფასები პარკისა წელს უკანასკნელი იყო: რვა მანეთიდგან დაწყებული 12 მანეთს აღარ ასცილებია. როდესაც გამოილია პარკი, მერმე კი გამოაცხადეს ვაჭრებმა ფუთზედ 13 მანეთი, მაგრამ გვიან-ღა იყო. ამ გვარად ბევრმა მოსახლეთაგანმა იყიდა ოცდა ათი ორმოცი მანეთის ბჟოლის ფოთოლი და პარკი კი მოუვიდა ათი-თორმეტის მანეთისა.

ექვს ამ თვეს აქეთ შემდეგი ამბავი მოჰხდა: დილით ადრე ცამ მოიღრუბლა; მოჰყვა ელვა-ქუხილს და მეხიც ჩამოვარდა; დაეცა მუხაყრუის საზოგადოების მცხოვრებს, ყანაში მომუშავე გლეხს, გვარად ჯოჯუას და იქვე მოჰკლა.

ამავე საღამოს ს. ტობანიერში ი. გილორავას წისქვილს ვიღაც ბოროტ-მოქმედმა ცეცხლი გაუჩინა. მალე შეიტყეს პატრონთ და მიეშველნენ; დაიწვა მესამედი სახურავისა.

8 ამ თვეს მუხაყრუის საზოგადოებაში შემდეგი გულშემზარავი ამბავი მოჰხდა: ვიღაც ბოროტს წამოეყვანა ახალ დაბადებული უკანონოდ შობილი ჩჩვილი გოგო და ერთის გლეხის ეზოს ღობესთან მიეგდო. საღამოს ნახეს ბავშვის ვვამი მარტო წელს დაბლა წელებ გადმოცვივნული, დანარჩენი ზედა ნაწილი თავიანხელებიანად შეჭმული იყო, ალბად ან ღორისა და ან ძაღლისაგან.

გლ—დო ბზვანელი.

---

**საჯევახო.** (ქუთაისის მაზრა). 18 ივნისს, საღამოს 6 საათზედ, სადგურ საჯევახოს მახლობლად, მოხდა შემდეგი სამწუხარო ამბავი: სამი შეიარაღებული ყაჩაღი დახვდა სადგურ საჯევახოში მიმავალს აბაშის საზოგადოებაში მცხოვრებს ივანე ათანასეს ძე მსხილაძეს, რომელიც სავაჭროდ საქონლისათვის სადღაც მიემგზავრებოდა, და წაართვეს 1,800 მანეთი. შეხვედრისთანავე ავაზაკებს ხანჯლით დაუჭრიათ თავსა და მკლავში, რის გამოც დამარცხებული წაქცეულა და გრძნობა დაჰკარგვია. ბოროტ მომქმედნი მსხილაძეს ვერ უცვნია. სისხლით გათხუპნილი კაცი სადგურზედ მიიყვანეს და ჯეროვანი საშუალება აღმოუჩინეს სადგურის მოვაჭრეებმა და დარაჯებმა. ადგილობრივი მამასახლისი, ბ. თევდორე თარგამაძე, ამ დღეს სადგურ საჯევახოში იყო. ყოველივე ღონის ძიებანი მიიღო ავაზაკების კვალის მისაგნებად, მაგრამ ამაოდ: ცამ ჩაჰყლაპა თუ მიწამ, ვერაფერი გაიგეს. მეორე დღეს დაჭრილი და გაძარცული კაცი წაიყვანეს სახლში, სოფ. გორ-მაღალში.

ჩვენში წელს აბრეშუმის მოსავალი საშუალოზედ ნაკლებია და ამის მიზეზი უთუოდ ის უნდა იყოს, რომ სოფლელები ზომაზედ მეტს აბრეშუმის ჰიას «იჟენენ» და ამიტომ ჯეროვანად ვერ უვლიან. ზოგიერთები, საკუთარი თუთის ფოთოლი რომ ვერ აუთავდა, ათ-თუთხმეტ ვერსის მანძილის სიშორიდგან ჰყიდულობდნენ ფოთოლს და იგრე ჰკვებავდნენ ჰიებსა. «ბევრის მდომი ცოტასაც დაჰკარგავსო», ნათქვამი რომაა, იგრე დაემართა ჩვენს სოფლელებს: ზოგიერთებმა ათი თუთხმეტი მისხალი აბრეშუმის თესლიდგან გამოჩეკილ ჰიებისაგან მიიღეს იმოდენა აბრეშუმის მოსავალი, რასაც უთუოდ მიიღებდნენ ორი-სამი მისხლიდგან, რომ ჯეროვნად მოევლოთ. რამდენად სასიამოვნოა ის, რომ სოფლელები ყოველ წლობით მეტის და მეტის ხალისით ეკიდებიან აბრეშუმობას, იმდენად სამწუხაროა ვერ შეგნება იმისი, თუ რამდენი ჰია უნდა იყოლიოს თვითეულმა ოჯახმა და ან როგორ უნდა უვლიდნენ. აგრეთვე სამწუხაროა ისიც, რომ ხალხი მაინც და მაინც არ სცდილობს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს თუთის ხეების გავრცელება-გაშენებას.

უთუოდ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ აბრეშუმობის მოყვარულებმა ბჟოლის (თუთა) ხეების გამრავლებას, რათა ჩვენში აბრეშუმობა მომავალში მაინც ჯეროვნად აღორძინდეს. წელს აბრეშუმის მოსავალმა, ცოტა იყო თუ ბევრი, ივნისის 20 რიცხვამდე დაიგვიანა ჩვენში და ამის მიზეზი უთუოდ ზემორე ჩამოთვლილნი დაბრკოლებანი და ნაკლულევანებანი უნდა იყოს.

აბრეშუმის პარკს წელს ძლიერ დაუკლეს აბრეშუმის მოვაჭრეებმა და ამის მიზეზად იმათ, როგორც ამტკიცებენ, წლევანდელი «მაზანდა» აქვთ გამოცხადებული. საკვირველია, თუ შარშან ფუთი პარკი 18—19 მანეთად ჰღირდა, წელს რად დამცირდა 9—10 მანეთამდე. ამის ახსნაც ვაჭართა საიდუმლო უნდა იყოს და ჩვენ ვერას ვიტყვით ამაზედ. ყველაფერ ნაწარმოებს აქვს საშუალო ნიხრი და «მაზანდა» და აბრეშუმობა-კი მოკლებულია ამას, რის გამოც აბრეშუმის ფასის აწევ-დამცირება მდიდარ სოვდაგრების ხელთ არის მოქცეული და იგრე იქცევიან, «როგორც ჰნებავს სულსა მათსა», და ეს კი ჩვენთვის სამწუხაროა. სასურველი კია, რომ მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქციოს აბრეშუმობის საქმეს, რათა ეს სათვალჩინო და სარგებლიანი ნაწარმოები მუქთად არ გადადიოდეს მილიონერების ხელში, რომელნიც უამისოდაც ყელამდე მაძღრები არიან. როგორც სჩვევია ჩვენს ქვეყანას, სათავეში ჩვენს აბრეშუმობას სომხები და სხვა უცხო ტომნი უდგანან და ქართველნი წვრილი მოვაჭრეები იმათ «კომისიონერებად» ჰყვანან და აბრეშუმის «მაზანდის» დაკლებაში ქართველ ვაჭრებს თითქმის არავითარი ბრალი არ ედება. როგორც ბატონნი სოვდაგრები გამოსცემენ ბრძანებას, ქართველი მოვაჭრეებიც ძალაუნებურად იმათ უნდა ემორჩილონ, რადგან მეტი გზა არა აქვთ და ვერც მიუკვლევიათ.

წელს ზოგიერთ სოვდაგრებმა ივნისის შუა რიცხვებში ზოგიერთი საბრეშუმე ფარდულები დაათვალიერეს და თავიანთ ხელქვეითებს ბრძანება მისცეს, რომ ფუთ პარკში 10 მანეთზედ მეტი არ მისცენ. ეს არის წლევანდელი აბრეშუმის «მაზანდა», რის გამოც სოფლელნი მეტად გულდაწყვეტილნი არიან და მოსალოდნელია, რომ ბევრმა მომავალში სრულიად თავი გაანებოს ამ საკეთილო ხელობას. მეტად სამწუხაროდ მისაჩნევია ყველასათვის, თუ წლევანდელს აბრეშუმის ფასის დაცემას ცუდი შედეგი მოჰყვა. მაშინ თავის ნება სოვდაგრებსაც დაეტყობა ვაჭრობის შემცირება, რაც მათთვისაც დიდად ზარალი იქმნება.

მელქისედეკ მიდოსვაძე.

---

**დ. თიანეთი.** პირველ იანვრიდგან თიანეთში ორი სამიკიტნო დუქანი არსებობდა. დუქნის პატრონებს მაზრის უფროსის მიერ ნაბრძანები ჰქონდათ, რომ პირველ მკათათვიდგან სოფლის მოშორებით გადაეტანათ, რადგანაც ეკლესიისა და სამართველოს მახლობლად მთავრობის მიერ აკრძალულია სასმელების დუქნების არსებობა. ერთ მედუქნეს დუქანი გაუუქმეს, ხოლო მეორე მედუქნეს კი, რომლის დუქანიც ეკლესიიდან 4—5 საჟენზეა, ისევ მისცეს ნება ვაჭრობისა. კახელმა ღვინის პატრონებმა გაიხარეს ეს ამბავი და ვისაც დარჩომილი ღვინო ჰქონდა, ამოჰქონდა და „დალაქიანთ ბაღში“ იყო გამართული სამიკიტნოები. რახან დუქანზედ შედარებით აქ უფრო იაფად ჰყიდნენ, იქ უფრო ეტანებოდნენ. დღეს ერთი ეპატიჟებოდა ჩარექა ღვინოზედ, ხვალ მეორე მესამეს, მესამე მეოთხეს და ამ რიგად ატარებდნენ დროს. კვირაობით რომ ადამიანს ჩაევლო, სწორედ „ალავერდობა“ ეგონებოდა. ასე ბედნიერად ცხოვრებამ დიდხანს არ გასტანა. ამ რამდენისამე დღის წინად დამთვრალი ხევსურები და კახელები დაერივნენ ერთმანეთს და, თუ პოლიცია არ მიშველებოდა, ეს ჩხუბი უმსხვერპლოდ არ გადარჩებოდა. ღვინის პატრონები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამ ჩხუბში, დაპატიმრებულ იქმნენ.

წვრილ მოვაჭრეთ გარდა თიანეთში ორი ფარჩის დუქანია. ერთი დუქანი თიანელ გლეხისაგან დაქირავებულ დუქანშია მოთავსებული, მეორე კი შარშან

დუქნის პატრონის გლეხებისაგან შეისყიდეს. წინად ეს ადგილი ეკუთვნოდა რამდენსამე გლეხს და ზოგი მათგანი ხმას არ იღებდა. ეხლა კი, როცა მოვაჭრემ ახალი შენობის აშენება დაიწყო, დაუწყეს დავა, მაგრამ ამაოდ, როგორც მოგეხსენებათ «ანცები» ცელქები თავიანთ მოხიბლულ ენით ვაჭრობაში და კაცის მოტყუებაში ძალიან დახელოვნებულნი არიან. ეს მოვაჭრეც ასე მოიქცა. ნახევარ ფასად შეისყიდა ეს ადგილი გლეხისაგან და დანარჩენ გლეხებს კი არაფერი მისცეს. ანდაზაა: «მთავარე რომ ჩემკენ იყოს, ვარსკულავები ვერას დამაკლებენო.

დათაკო გოგიაშვილი.

## სვანეთში ორის კვირით

(შემდეგი *)

### XXII

ლატალის საზოგადოება მაღლობ ვაკობზედ მდებარეობს; იქვე, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ენგური გამოჰქუხს ვიწრო ხეობიდგან, რომელსაც აქეთ-იქით მაღალი ტყით-მოსილი მთები აჰყუდებია. აქ კი ენგურს ერთვიან ჩრდილოეთ სვანეთის მდინარეები—მუჟალის და მესტიის ჭალები თავის ტოტებით. მთელი ლატალის ვრცელი საზოგადოება ზევიდგან დაბლა გადაჰყურებს მდ. ენგურს და გაღმა აყუდებულს ლაილის ქედს, რომლის გადაღმა ცხენის წყლის ხეობა მიიკლაკნება. ამ ქედის მაღლობნი თოვლით არიან მოცულნი.

ამ საზოგადოებაში 11 სოფელია: ენაში, ლამო, კვახჭიანი, დაიაში, ლეუშკა, იფახი, ლეშკვაში, მაცხვარიში, შკალერი, ლახუშტი და ლაიალი. აქაც მცხოვრებ სვანთა გვარები წმინდა ქართულია: დვინთელიანი, ფარჯიანიანი, წერედიანი, ფითიანი, ჩარკვიანი, კვანწიანი, გირგვლიანი, სტეფელიანი, გურგვლიანი, დვინჭიანი, აბდალიანი, სიდიანი, გერგი, თამარში, ფირცხლიანი, ამზიანი, ჩანგლიანი, ფაქლიანი და სხვ. ამ საზოგადოებაში და მთელ სვანეთში უძველესი და საუკეთესო საყდარი არის წმ. იონასი სამის ტრაპეზით. თავის არხიტექტურით და ხელოვნებით წმ. იონას საყდარი მთელს საქართველოში უძველეს საყდართა შორის ითვლება. აგებულია მშვენიერი თლილის ქვისაგან და გარედგან—სიგრძით არის 7 საჟენი და სიგანით ხუთი. სამის მხრივ—სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით ეკვდერი არტყია, მთლად შებოლილ-შექვარტლული. საზოგადოდ მოგვაგონებს იფარის წმ. გიორგის საყდარს, მხოლოდ თითქმის ერთი-ორად დიდია. საყდარი აშენებულია მაღლობ ბორცვზედ და დაბლა მშვენიერი ჩრდილოვანი ცაცხვი და სხვა ხეები ამშვენებენ მის არე-მარეს.

კანკელი თლილის ქვისაა. საყდარში ასვენია რამდენიმე ხატი, და მათში დიდი მაცხოვრის ხატი, საუკეთესო ხელოვნებით მოჭედილი ვერცხლით. სიმაღლით არშინ ნახევარზედ მეტია, დაბლა უკუღმა დაკრულს არშიაზედ, საუცხოვო ასომთავრულის, ამობურცულის ასოებით დახიანებულ წარწერაში ჩვენ ამოვიკითხეთ: № „...თეკლე და ალექსანდრე გზოკეთ სამკაული ეკლესიისა შენისა მოჭარული და დაფლული, რათა შენი შენდა შევსწიროთ შენდა მანდობილთა, გვიხსენ ჩუენ ჯოჯოხეთისაგან ბნელისა დიდს (დიდისა?) შენისა და მიითუალე კნინი ესე მსახურება ჩუენი, გ ა ბარძამ ხუთასის დრამის ტაბაკინი, ორნი საცეცხლურნა, ერთნი ხარნი და ერთი“... ჩვენის ფიქრით, ალექსანდრე არის იმერეთის მეფე ალექსანდრე (1381—1392 წ.) და თეკლე მისი მეუღლე. იონა წინასწარმეტყველის ვერცხლის ხატს ზურგზედ აქვს ხუცური ასომთავრულით წარწერა: № „ქ. მოვჭედეთ და შევამკეთ ხატი ესე იონა წინასწარმეტყველისა ჩვენ პატრონმან გურიელმან მამია ამ სოფელს გასამარჯვებლად და საუკუნოს სახსრად სულისა ჩვენისათვის“. ასოების გამოხატულების მიხედვით ეკუთვნის XVI საუკუნეს.

წმ. ბასილის ხატზე აწერია: № «...მეარვედ მექმენ ორსავე ცხოვრებასა ივანეს კერკემლის ძესა»... ეს წარწერა ეკუთვნის XIV საუკუნის დამლევს. ამ დროს ვიცით ძველ საათაბაგოს აზნაურთა გვარი ხერხემლის ძენი, წინაპარნი ეხლანდელის ხერხეულიძეთა. ვინმე «თამარ კერკემლის ძეთაჲ ასული» ანჩის მღვდელთ-მთავარს იოანეს სწირავს თავის ხელით შეკერილს ძვირფასს ოლარს. *).

*) იხ. ივერ. № 148.

*) იხილ. ქრონ. II, ჟორდანიასი, 175 გვ.

აქვეა ძველი საწინამძღვრო ჯვარი, მეტად აჭიჭყნილის, ხელოვნურის ასომთავრულით. დიდის დაკვირვების შემდეგ ძლივს-ძლივობით ამოვიკითხეთ: № «ქ. ხო͞ლდ მ͞რჭხი ა͞დს შ͞ეს ღმრთმა ბსა:. თქვესა:. ხეჩს:. შრს:. ღმერთმა:. ქ͞ე ძ͞ო ღმრთისაო დ მეოხ დ ფრველ დ შმე»...

ამ საყდარს ეკუთნის ძვირფასი «ლატალის სახარება», რომლის სრულს აღწერას შემდეგ დავბეჭდავთ.

გარეთ კარებთან ჰკიდია ძველი ზარი შემდეგის წარწერით: «ქ. ჩვენ მეფეთ-მეფემან ალექსანდრე, ძემან დავითისამან, წარმოვგზავნეთ კახეთით ზარი ესე სამსახურებლად ტაძრისა შენისა წმიდაო წინასწარმეტყველო იონა ლატალისაო! მეოხებითა შენითა უვნებლად დამიფარე მე ორთავე შინა ცხოვრებათა, ვითარცა დაიცვა ღმერთმან ზღვისა და ვეშაპისაგან, ამინ. ქ͞ს ხპვ». (1598 წ.).

საკურთხეველში, ფანჯარას აქეთ-იქით დახატულნი არიან წმ. მღვდელთ-მთავარნი—ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი და სხ. ბერძნული წარწერებით; მხატვრობა X საუკუნისაა.

რადგან საყდრის დღეობა ქრისტიშობისთვის 9-ს მოდის, ზამთრის სიცივის გამო სვანები საყდრის გარემო ეკუდერში ანთებენ ცეცხლსა და ღამეს ისე ათევენ. გაბოლილ - შემქვარტლულიც ამიტომ არის.

წმ. იონას საყდარი ზედ მიწერილია იფახის მაცხოვრის საყდარზედ. ეს საყდარიც მაღლობს, კლდოვან ბორცვზედ არის აშენებული. სამხრეთის მხრივ ამასაც ეკუდერი აქვს მიდგმული. მაცხოვრის საყდარი შიგნიდგან მეტად მოხდენილია: საუკეთესო ქვის კანკელი და უძველესი მხატვრობა მნახველის თვალს ატკბობენ. ამ საყდრის ჩრდილოეთის კედელზედ დასავლეთ კუთხესთან დახატულ არიან მეფე-დედოფალი ძველის ქართული სამეფო შესამოსლით; სამწუხაროდ წარწერები გადასულია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთ-ერთი (IX) აბხაზეთის მეფე უნდა იყოს აქ დახატული.

სვანების ძლიერს სარწმუნოებრივს გრძნობას უნდა დავუმადლოთ, რომ ამოდენა მხატვრობით შემკული და ჯვარ-ხატებით სავსე საყდრები შეინახეს დღემდე.

მთელ საქართველოსათვის კარგი მისაბაძავი საქმეა.

მაცხოვრის საყდარში საუკეთესო სამკაულია ვერცხლის, მშვენიერის ხელოვნებით გაკეთებული ჯვარი (56×28 სანტიმეტრი) ძვირფასის მინაქრის ხატებით და ბერძნულის წარწერებით. მაცხოვრის ოქროში დაფერილ ვერცხლის ხატს აწერია: № «ქ. მაცხოვარო ლატალისაო, ადიდენ მეფეთ-მეფე გიორგი, დედოფალთ-დედოფალი რუსუდან და ძე მათი ბაგრატ, ამინ.

მეფე გიორგი 1565 წ. ვიცით ზემოთ წარწერებიდგან; რუსუდან და ბაგრატ † 1578 წ. ღვთის-მშობლის ვერცხლის ხატს 23 კარგი ქვა უსხედს და აწერია დაბლა: № «ქ. მე მამუკა ვაჩნაძემ გავაჭედინე ხატი ესე ეფლად წმიდასა». ჩვენის ფიქრით, მამუკა ვაჩნაძე ერთგული თანამხლებელი იყო თეიმურაზ I მეფისა იმერეთში 1612—1615 წლებში.

მაცხოვრის ხატის ვერცხლის ძეწკვის ბოლოზე აწერია: № ქ. შემოგწირე მცირე შესაწირი ძეწკვი ესე მაცხოვარს ლატალისას მე ჩიქუანმა ქაიხოსრომ ჩემად სადღეგრძელოდ».

ზარზედ წარწერა: № «ქ. შემოვსწირე ზარი ესე მაცხოვრისა ლატალისასა მე აპაშიძემან ცაგერელმან მამათ-მთავარმან სულისა ჩემისა სახსრად». სვიმონი განაგებდა ცაგერის სამწყსოს 1676—1709 წ. შორის. ამავე საყდრის მშვენიერს ბუკზედ აწერია: № «ქ. ქეა, საშინელო დიდო და პატიოსანო მაცხოვარო ლატალისაო! შემოგწირე და მოგართვი მცირე და კნინი შესაწირი ესე მე ჩიქვანმა ბატონმა ქაიხოსრომ ჩემის გასამარჯვებლად, სადღეგრძელოდ, სულისა ჩემისა სახსრად და სახსენებლად, ამინ». ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ აქ მოხსენებული ქაიხოსრო არის მამა კაცია ჩიქოვანისა (1651—1681 წ.). «ეხე კაცია იყო გორდელი მდაბალი აზნაური, რომლისა მამა სვანეთს ტყვირთით თვისით ზიდვიდა თავლსა და გამოიზრდებოდა». [1]) ლატალის მღვდელი მამა გაიოზ ძამისტარაშვილი საყვარელი მოძღვარია სვანებისა: შეუსწავლია წმინდათ სვანური ენა და ჭირსა და ლხინში მხარში ამოსდგომია თავის საყვარელ სამწყსოს. იგი ძველის დროის ტიპიურ-ქართველს მღვდელს მოგვაგონებს და ორმოც წელიწადზედ მეტია, რაც აქ მსახურებს.

მღ. ზ. ჭიჭინაძე? — მღ. ბ. კაჩელაშვილი.

[1]) იხ. ქ.-ცხ., II. 206 გვ.

## თეატრი და ხელოვნება

**ქ. თელავი.** სწორედ ერთი წელიწადი იქნება, რაც თელავში წარმოდგენა არ გამართულა. არ გამართულა მისთვის კი არა, რომ თელავს სცენის მოყვარულნი არა ჰყავს, არამედ მისთვის, რომ საზოგადოება მოწადინებული არ არის წარმოდგენებს. არც ფულის კრიზისით აიხსნება—თუ კი ლოტოზე მიდიან და მანეთობით აგებენ.

19 ივნისს, წარმოდგენა არ შესდგა ხალხის დაუსწრებლობის გამო. 3 ივლისს კი საზოგადოება ბლომად დაესწრო, მთელი დარბაზი სავსე იყო. წარმოდგენას საქველ-მოქმედო აზრი ჰქონდა და თელავში ხომ სულ ქველ-მოქმედობენ.

ამ საღამოს თელავის კლუბის დარბაზში წარმოადგინეს «პატარა კახი» აკაკისა და ვოდევილი „Роковая скамейка“. პატარა კახის როლს ასრულებდა ქ-ნი როსტომაშვილისა. ეს ქალბატონი ქალის როლებშიაც მინახავს და ეხლა დავრწმუნდი, რომ თუ ეცდება და გულს დაუდებს, უკეთესათ შეუძლიან შეასრულოს ნაკისრი როლი. 16—17 წლის ყმაწვილი მშვენიერ ტანისამოსსა და იარაღში გამოწყობილი, შვენოდა ქ-ნი როსტომაშვილი. იარაღის ხმარება და ქცევაც კაცური ჰქონდა და უკეთესადაც შეასრულებდა, რომ ხმა დაემორჩილებინა—სულ ერთ აწეულ ტონზე ლაპარაკობდა და ეს კი, ცოტა არ იყოს, ხელს უშლიდა მის როლს. ქ—მა ე. ქართლელმა შეასრულა დედოფალ თამარის როლი და კარგიც იყო. ტანისამოსი, სამკაული და სახის გამომეტყველებაც ხელს უწყობდა. სამაგიეროდ დედოფალს მხარი ვერ მისცა მეფემ, რომლის როლსაც ასრულებდა ბ-ნი ე. პაატაშვილი. არც კოსტიუმი ჰქონდა მეფის შესაფერი, და არც ხმა. ბ-ნმა ვ. გამყრელიძემ გელას როლი ისე ხერხიანად და კარგათ აასრულა, რომ ბევრი აატირა. საუცხოვო სანახავი იყო, როცა მესამე მოქმედებაში თავის ტურფათი მუშებ შორის ჩადგა და დასძახა «მუშლი მუხასაო». მუშებმა ბანი მისცეს და გაისმა გუგუნი. ეს ადგილი საზოგადოებას ძრიელ მოეწონა, ტაშის კვრით დააჯილდოვა და რამდენჯერმე გამოიწვია. მისის ქალის ტურფას როლი ქ. ა. ტფილისელმა ისე ითამაშა, რომ საზოგადოება გააკვირვა. ქცევა, სახის მეტყველება და ლაპარაკი სწორედ მოსაწონი იყო. გივი ჩოლოყაშვილს (ს. გოშაძეს) არა უჭირდა-რა, მხოლოდ პირველად სუსტობდა. თ. ვ. მაყაშვილი (ლევაან ქავბულაძე) და გ. აბელიშვილი (რევაზ ბებურიშვილი) ერმანეთს არ ჩამოუვარდებოდნენ. როლებშიაც სუსტობდნენ, არც ტანისამოსი ჰქონდათ. წარჩინებულთა მაგიერ აწინდელ თავადიშვილის უბრალოდ ჩაცმულ მხლებლებს მოგვაგონებდნენ. მეფე დედოფალს ამალა არა ჰყავდა. შიკრიკებად პატარები იყვნენ. ჯარის კაცები ლეკიებს უფრო ჰგვანდნენ.

ანტრაქტებში სამხედრო მუსიკა უკრავდა. წარმოდგენა 1 საათზე გათავდა.

დროებ. რეცენზენტი.

## წერილი

### რედაქციის მიმართ.

ბ. მარიანაშვილის წერილია გუშინდელ ნომერში მოთავსებული და აი რას ვკითხულობთ: უკუღმართობაო კიდევ... ოპერა «სევილიელი დალაქი» ითარგმნა, უნდა წარმოდგენილიყო ბ. ფალიაშვილის ლოტბარობითაო... ეხლა თურმე სხვაც სთარგმნის—ნეტა ან რანაირი ნათარგმნი იქმნება და ვისი ლოტბრობით დასდგამენო.

დიახ! 1) სწორედ რომ უკუღმართობაა მა რა უბედურობაა ჩვენს თავს, რომ ბ. მირიანაშვილს მემუსიკობა უკისრნია და უფრო მეტს ლაპარაკობს იქ, სადაც მას ნაკლები ესმის რამე; მაგრამ ჩვენში ეს «მეც ნახირ-ნახირაობა» ახალი არაა, ძველია. 2) ვინ გადასწყვიტა, რომ ფალიაშვილის ლოტბრობით უნდა წარმოედგინათ «სევილიელი დალაქი»? რასაკვირველია, მირიანაშვილმა. მერე რატომ აღარ წარმოადგინეს! აკი თვითონ ბ. მირიანაშვილი ჩალიშობდა გაზეთებში: «დიდ-მარხვში» დაიდგმის «სევილიელი დალაქი» ბ. ფალიაშვილის ლოტბრობით» და სხვა... გავიდა დიდ-მარხვა, ვერაფერს ვეღირსეთ: «აღდგომის შემდეგ დაიდგმის „სევილიელი დალაქი“ ბ. ფალიაშვილის ლოტბარობითო». გავიდა გაზაფხულიც, ეს ზაფხულიც... სად არის «სევილიელი დალაქი»? იმედ გარდაწყვეტილებმა, რომ ვერ მოვესწარით ამ ოპერის დადგმას ქართულათ, ეხლა ჩვენ მოვკიდეთ ხელი:

ბ-ნი მირიანაშვილი ითხოვს და ემუდარება ღმერთს,—საოპერო ქართულ ენას უწმაწურობა არ დაჰყვესო; ნუ თუ ჰგონია ბ-ნ მირიანაშვილს, რომ მარტო მას შეეძლო თარგმნა ამ ოპერისა, მარტო მან იცის ქართული ენა და სხვას აბა... მართალი რომ ვსთქვათ, ბ-ნ მირიანაშვილის სუსტი მხარე კი ყველამ ვიცით: მას ჰგონია, მარტო ის არის ქართულის მცოდნე და სხვა არავინ! ეს შემცდარი აზრია: ამ ჟამად «სევილიელ დალაქს» სთარგმნის არა მირიანაშვილზედ ნაკლებ ქართულ ენის მცოდნე და ამაშიაც დავრწმუნდებით! ბ-ნი მირიანაშვილი იკითხავს: ვისი თაოსნობით ან ვისი დირიჟორობით იქმნება წარმოდგენილი, არ ვუწყითო' მაქვს პატივი ვაუწყო ბ-ნ მირიანაშვილს, რომ ოპერა დაიდგმის ყველა მათ თაოსნობით, რომელნიც ჩვენთან ერთად არიან და არა რომის პაპთან! რაც შეეხება დირიჟორობას, ამაზედ ის შემიძლიან ვსთქვა: ტყუილათა ჰგონია ბ-ნ მირიანაშვილს, რომ დირიჟორობას მარტო ფალიაშვილი გასწევს და სხვა ვერა; ვაი ჩვენ უბედურებას! ნახეთ, ბატონებო, და დასტკბით! ნუ თუ ისე წავხდით და დავეცით, რომ ბ-ნ მირიანაშვილისგან დადიპლომიანებული თუა, იმას შეუძლიან საქმის გაძღოლა. გაისარჯოს და მოიგონოს ყარაევი, არაყიშვილი, ნათრაძე, ქართველიშვილი. აქ სხვა გვარებსაც მოვიყვანდი, რომელთაც შეეძლებათ ფალიაშვილზედ არა ნაკლებ კარგად საქმის გაძღოლა—ესეც კმარა.

—

**P. S.** იმისთანა პირნი, როგორიც ბ. მირიანაშვილია, ევროპაში რეკლამისტებათ იწოდებიან, თუმცა კი ამ შემთხვევაში ბევრ ვერაფერს მეგობრობას უწევს ბ. ფალიაშვილს მირიანაშვილის რეკლამა; კერძოთ მე რომ შემეხებოდეს ბ. მირიანაშვილის რეკლამა, გულ ახდილათ ვიტყვი, კიდეც ვითაკილებდი, ფალიაშვილისა კი რა მოგახსენოთ!

მაგრამ რადგანაც ბ. მირიანაშვილს უეჭველათ და უეჭველათ სურს, რომ ფალიაშვილი დირიჟორობდეს, დავამზადებთ ყველაფერს, გადავაწერინებთ ორკესტროვკას, რის გადასაწერათაც აგერ ჯერ 35 მან. გაგვილია, ერთის სიტყვით, მივიყვანთ საქმეს აღსრულებამდის და მოვიწვევთ ბ. ფალიაშვილს, მხოლოდ ნუ დაივიწყებს ბ. მირიანაშვილი, რომ ვაი თუ კიდევ ვერაფერი გაკეთდეს და ამით ვაწყენინოთ ბ. ყარაევს და ზემო-დასახელებულ პირთაც.

ი. კარკარეთელი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 ივლისი.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს უდიდებულესობასთან 12 ივლისით: „დაზვერვამ აღმოაჩინა, მტერს უჭირავს მთის გამაგრებული მწვერვალები, ფერდობები გაიჩოუს ჩრდილოეთად. 10 ივლისს დილის ხუთი საათიდან მტრის ორმა დივიზიამ შემოუტია რკინის გზის გაყოლებაზე, მდინარე წინსახემდე, ჩვენ შუბლის ჯარსა. სამხრეთიდან ერთი დივიზია მოგვესია, უმთავრესი ძალა კი მიმართა დაჩაპუსკენ, 13 ვერსზე დაშიჩაოდან ჩრდილოეთად. ნელ-ნელა მოიწევდენ წინ, სვენებით, ხოლო მტრის არტილერიამ საშინელი სროლა აუტეხა მახუნზუიძასა და იაპოლინძას სიმაღლეებს, რომელიც ჩვენებმა თანდათან დასცალეს. ამ რაზმს დაუწყო სროლა ჩვენმა ქვევითა ჯარმა. პოლკოვნიკმა ლეშმა თავის დროზე მოიყვანა მოწინავე რაზმი დაჩაპუსთან, ამასთანავე ჩვენმა ბატარეიამ რამდენჯერმე გამოიცვალა პოზიცია და გაუმკლავდა მტრის არტილერიას, ესროდა ყუმბარებს იმათ ჯარს ციერლგოუს მხრიდან. მოწოლა დაიწყეს $9^{1}/_{2}$ საათზე დილით დაშიჩაოსკენ. ამ მხარეზე ჩვენმა რაზმებმა წინდაწინვე დაიჭირეს გამაგრებული პოზიციები ინცენჯანთან და ნანდალინთან, ტანჩისა და დაშიცაოს შუა. ნაშუადღევის 3 საათზე მენცაიტუნსა და შაოგოპუს შუა ერთი დივიზია გაჩნდა მტრისა. ამავე დროს სამხეთიდან რკინის გზის მხრივ კიდევ გამოჩნდა ერთ ბრიგადამდე ჯარი მტრისა. 4 საათზედ მტერმა მოწოლა შეაჩერა ◌ მთელი ძალა მოიკრიბა მახუნციანძთან. 10 ივლისს საღამოთი ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს საყარაულო ადგილები და მოემზადნენ ბრძოლისათვის. ჩვენი ზარალი გამორკვეული არ არის, მაგრამ ცნობა გვაქვს, რომ საკმაოდ დიდია. დიდის სიცხის გამო რამდენსამე კაცს წვეთი დაეცა და სიცხე ჩაუვარდა თავში. დაბინდებისას ჩვენმა მოწინავე რაზმებმა კვლავ დაიჭირეს ტანჩი. 11 ივლისის ღამემ წყნარად ჩაიარა. 11 ივლისს, დილის ხუთს საათზედ, შეიქნა მოწინავეთა სროლა ტანჩის მიდამოებში. გაიჩოუსკენ მშვიდობიანობა იყო. 8 ივლისს იაპონელებმა პხანლინის გადასავალის პირდაპირ დაიჭირეს აღმოსავლეთით სიმაღლე და ძალიან შეგვავიწროვეს, ამიტომ გადასავალი დაიჭირა ჩვენმა მცირე რაზმმა. დილით 9 ივლისს რაზმის უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა დემენტიევმა გადასწყვიტა დაიჭიროს იმ სიმაღლის სამხრეთის ფერდობი და შუადღისას კიდევაც შეისრულა სურვილი. შუადღის შემდეგ იაპონელებმა წინ წაიწიეს და შემოუარეს ჩვენს მარცხენა ფრთასა. მერე მარჯვენა ფრთის შემოვლა დაიწყო, რაკი ადგილმდებარეობა ხელს უმართავდა. მაგრამ პოდპოლკოვნიკს დემენტიევს მიეშველნენ დანარჩენი როტები რაზმისა, იქითკენვე გაიგზავნა სხვა ადგილებიდან როტები. გაჩნდა ბრძოლა; მტრის ერთი ბრიგადა აწვებოდა შუბლსა და ამავე დროს ორის მხრივ უვლიდა, როტები ნაბიჯ-ნაბიჯ იხევდნენ უკან და დიდს წინააღმდეგობას უწევდნენ მტერსა, რომელმაც 9 ივლისს, საღამოს 7 საათზე, შეაჩერა შეტევა და დაიჭირა პხანლინის უღელტეხილი. ამ დროს დაიჭრა შტაბს-კაპიტანი მინინი და 49 დაბალი ჯარის-კაცი; დახოცილთა რაოდენობა არ ვიცით ჯერედ. 10 ივლისს ამ მხარეზე მშვიდობიანობა იყო. საიმაძჰუნდენის გზაზე 9 ივლისს მტერმა დიდის ძალით შემოგვიტია საიმაძ-სიაოსირიდან. ამ დროს დაგვიჭრეს ერთი და რამდენიმე გაიკენწლნენ. 11 ივლისს მტერმა წინ წაწევა ისევ დაიწყო. 11 ივლისს ბრძოლა დაიწყო გათენებისას ტანჩთან; 12 საათის განმავლობაში მტერი ზარბაზანს გვესროდა. არტილერიის ბრძოლაში ჩვენ გავიმარჯვეთ. იაპონიის ბატარეიები, სამხრეთად 7 ვერსზე დაშიცაოდან, ჩავაჩუმეთ ნაშუადღევის 4 საათზე. ნაშუადღევის 4 საათს მტერი წამოვიდა დაფანენიდან და სურდა გაერღვია გული ჩვენის პოზიციისა. ჩვენმა ჯარებმა ყველა თავდასხმა უკუ აქციეს და პოზიციები მთლად შეიმაგრეს. ბრძოლა გათავდა $9^{1}/_{2}$ საათზე საღამოთი, 11 ივლისს. ჯერ ბრძოლის ამბები და ზარალი გამორკვეული არ არის. რაზმის უფროსმა, რომელმაც ორი დღე შეიკავა მტრის თავდასხმა და უკუ აქცია ისინი, მცირე დასვენების შემდეგ, ნელ-ნელა დაიწია ჩრდილოეთად.

**ბაქო.** რეშტიდან იუწყებიან, რომ ყველგან თეირან-რეშტის გზის დაყოლებაზე მშვიდობიანობაა. გავლილ კვირას მეჯილიში იყო ხოლერით ავად გახდომის შემთხვევა, ეხლა კი მშვიდობიანობაა. რურტიბადს, რეშტსა და მენჯილიეშს შუა ორი შემთხვევა იყო. რეშტსა, თავრიზსა და ენზელს მშვიდობიანობაა.

**მუკდენი.** (საკუთ. კორესპ.). როგორც ხმა ისმის, ინკოუს წინ დათარეშობს იაპონიის ესკადრა; დაინახეს 20 ტრანსპორტი ჯარებითა.

**ბერლინი.** იმპერიის კანცლერი ბიულოვი დღეს მოვიდა.

**ყაზანი.** «ყაზანის პოლიცმეისტერი დაეძებს პატრონს ძვირფასის სამკაულისას ღვთისმშობლის ხატისას; ის ლომბარდიდან გამოუტანია, სადაც ჩაიკინს, რომელმაც ყაზანის მონასტერი გაძარცვა, დაუგირავებია. სამკაული ოვჩინიკოვის ნამუშავარია; გვირგვინში დასევადებული ჯვარია და ალმასის ვარსკვლავები. ვარსკვლავებში ბრილიანტებია; ყელზე სამი ბრილიანტია; 212 მისხალს იწონს სამკაული. სევადა მრავალ გვაროვანია. დამნაშავე არ ამბობს, სად და როდის მოიპარა ის სამკაული. პოლიცმეისტერი სთხოვს პატრონს,

დეპეშით აცნობოს, ხოლო გაზეთებს სთხოვს დაბეჭდონ ეს ამბავი. პოლიცმეისტერი პანფილოვი».

**ჰამბურგი.** (ვოლფის სააგ.). გემთა საზოგადოებამ «ამერიკა ლინიმ»-მისწერა «სკანდიის» უფროსს, გემის უფროსობა მიიბაროს, პროტესტი გამოუცხადოს შეპყრობისათვის და წავიდეს შორეულ აღმოსავლეთს.

**ბერლინი.** უფროსმა დირექტორმა ბალინმა გარეშე საქმეთა სახელმწიფო მდივანს წარუდგინა დამტკიცებანი იმისი, რომ გემ «სკანდიაზე» იყო ცოტა რამ სამხედრო ტვირთი გერმანიის მართებლობისა და ჩინეთისა.

**შანჰაი.** ბელგიის ეპისკოპოსი, როცა ის სამწყსოს მოსავლელად წავიდა, მოჰკლეს ლიხუბნში.

**სოფია.** რუმინიის 300 მასწავლებელი სამი დღე იყვნენ სოფიაში და შემდეგ ბლევნით რუმინიაში დაბრუნდნენ. ბულგარიის მასწავლებელთა ინსტიტუტმა სადილი გაუმართა. მთავარმა ფერდინანდმა დეპეშა გაუგზავნა და ორთავე ქვეყანას უსურვა წარმატება.

14 ივლისი

**პეტერბურგი.** დეპეშა გენ.-ად. კუროპატკინისა მის უდიდებულესობის სახელობაზედ 13 ივლისს: «სამხრეთ ლაშქრიდგან ახალი ამბავი არა მოსულა-რა. 10 ივლისს დალინისკენ მოძრაობა იყო მტრისა აქეთ-იქით. 11 ივლისს, დილის 8 საათზე მტრის ორმა ბატალიონმა ოთხის სამთო ზარბაზნით დაიწყო ბრძოლა ვანძიაპუძის ხეობაზედ 10 საათზედ იაპონილებმა შემოგვიტიეს ფხანლინიდან. ჩვენმა მოწინავე რაზმებმა რამდენსამე ხანს შეიჯერიეს. ამ ბრძოლაში 14 კაცი დაიჭრა ჩვენი. 2 საათზედ მტერმა დაიჭირა ჰუაგო და თეუკიძი და ერთი მაღლობი ფხანლინისკენ. ამავე დროს გაოჩნდა მტრის ორი პოლკი. ერთმა მისმა ბატალიონმა დაიჭირა ფაციგოუ. ამას გარდა საკმაოდ დიდ-ძალი ჯარი მტრისა შევნიშნეთ იაოტუნს დაშიჩაოსკენ. ამ ჯარმა დაგვიწყო ბრძოლა 11 ივლისს. ამავე დღეს მტერმა ორ დივიზიამდე ლაშქარი გაშალა ხაიჩენისკენ, მაგრამ გაბედვით არ მოქმედებდა. აღმოსავლეთისკენ ცვლილება არა მომხდარა-რა. მტერს ნაწილი თვისის ჯარისა სიქეიანს გადაჰყავს.

**ნიუ-ჩჟუანი** (რეიტ. სააგ.). 50 კაცამდე იაპონელთა კავალერიის რაზმი შევიდა ქალაქში. რუსთა ყოველივე შენობაზედ საფრანგეთის ბაირაღები ფრიალებს. იაპონიის ავანგარდი 12 ივლისს მოვა. ქალაქი დამშვიდებულია.

**კალუგა.** გაემართა შორეულს აღმოსავლეთს საქსენენო რაზმი ასის საწოლით. ხელმწიფე იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა დეპეშით გზა დაულოცა. 11 ივლისს ხელმწიფე იმპერატრიცას უქვეშევრდომილესი დეპეშა გაუგზავნეს.

**ლონდონი.** 13 ივლისს გარეშე საქმეთა სამინისტროს სადგომში იყო კრება მინისტრებისა ბოფურის თავსმჯდომარეობით. ბჭობამდე გრაფი ბენკენდორფი იყო სამინისტროში ლანსდოუნთან მოსალაპარაკებლად.—ლივერპულიდან ცნობა მოვიდა, რომ გემი «კალხიასს» პატრონებმა დეპეშა მიიღეს ჰონკონგიდგან, თქვენი გემი შეიპყრა ვლადივოსტოკის ესკადრამაო. გემი მიდიოდა პეხეტსუნდიდან (ვაშინგტონის შტატი) იაპონიას.

**სუეცი.** სანაოსნო ამხანაგობის «Peninsular Oriental»-ის გემი «ფორმოზა», რომელიც რუსთა გემებმა შეიპყრეს მეწამულ ზღვაში, მოვიდა აქ რუსეთის დროშითა და რუსის კომანდით.

**შანჰაი.** ბელგიის ეპისკოპოსი ხუპეს პროვინციაში საინსპექციო მოგზაურობის დროს მოკლულ იქმნა თვისისავე ძმისა და ერთის მისიონერითურთ ლეხუანში, მუნკინისა და იტაშანის შუა გზაზედ.

**ჰააგა.** აქ მოასვენეს კრიუგერის გვამი· რკინის გზის სადგურზედ მეფის კამერგერმა, სამეფო სასახლის სახელით, ჰკადასცა განსვენებულის ოჯახობას გვირგვინი, რომელზედაც მოჭრილი იყო პირველი ასოები დედოფლისა და მისის მეუღლის სახელისა. მთავრობის წარმომადგენლად იყო ორი მინისტრი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ-ინება და დაამტკიცა ვერცხლის მედალი სათარეშო გემის «ვარიანტისა» და საგზირო ნავის «კორეეცის» სამუდამო სახსოვრად. ეს მედლები უნდა ატარონ იმათ, ვინც ამ გემებზედ ჩემულპოსთან ომში მონაწილეობა მიიღეს. მედლების ლენტზედ გამოსახული იქნება ანდრეევის დროშა.

მისის უდიდებულესობის მოადგილის ბრძანება: «მუკდენი. უმაღლესის ბრძანებით ჩემს განკარგულებაში დანიშნული გვარდიის ფლიგელ-ადიუტანტი, პორუჩიკი დიდი მთავარი ბორის ვლადიმერის ძე, ინიშნება საგანგებო მინდობილებათა ობერ-ოფიცრად მანჯურიის ლაშქრის მთავარ-სარდალთან».

**ტიანძინი.** (რეიტერის სააგ.). როგორც მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, იაპონელებს ნიუ-ჩჟუანიან მომხდარ ბრძოლაში 11-სა და 12-ს ივლისს დაჰკლებიათ სულ 380 კაცი.

იაპონელებმა ნიუ-ჩჟუანი დაიჭირეს 12 ივლისს, საღამოს 5 საათზედ. როდესაც რუსებმა ნიუ-ჩჟუანი დასცალეს, დამოჟნაზედ აღმართულ იქმნა ჩინეთის დროშა, რომელიც 13 ივლისს შეცვლილ იქმნა იაპონიის დროშით. ეჭვი არაა, რომ ეხლა ნიუ-ჩჟუანი იაპონელთა სამხედრო მოქმედების უმთავრეს ადგილად გადაიქცევა. იაპონელებს, ალბად, განზრახვა აქვთ, ნავთსადგური დაპყრობილ ტერრიტორიად ჩასთვალონ ომის გათავებამდე, როდესაც მოვალენი არიან დიდ სახელმწიფოებს დაუბრუნონ, თანახმად ხელშეკრულობათა. მაინც იაპონელთა მოქმედების უკრიტიკოდ არა სტოვებენ.

**სუეცი**- (რეიტერი). «ფორმოზა» შეიპყრო «სმოლენსკმა». კონსული მოელის ინსტრუქციას «არდოვას» განსათავისუფლებლად.

«დეილი მეილის» კორესპონდენტი იუწყება სარწმუნო წყაროებიდგან, რომ იაპონიის სამხედრო გემი მეწამულ ზღვაში მოვიდაო.

**მოსკოვი.** 13 ივლისს მოსკოვს მოიყვანეს შორეულ აღმოსავლეთიდგან ვაფანგოუსთან დაჭრილნი აღმოსავლეთ-ციმბირის 1-ლ პოლკის პორუჩიკი ბაბჩენკო და პოდპორუჩიკი სმირნოვი და მორშანის პოლკის პოდპორუჩიკი ზახაროვი.

**სან-ფრანცისკო.** (რეიტერი). აქ ძლიერა შიშობენ გემის «კორეისათვის« რომელსაც იაპონიაში მიაქვს ერთი მილიონი დოლლარი, აგრეთვე მანქანები და სამხედრო სურსათი, რომელიც, ეჭვი არაა, სამხედრო კონტრაბანდად ჩაითვლება. «კორეია» იაპონიაში უნდა მივიდეს 15 ივლისს.

**ქაირი.** (რეიტერი). სუეციდგან დეპეშით ოფიციალურად იუწყებიან, რომ «ფორმოზას» გაანთავისუფლებენო.

**ტოკიო.** (რეიტერი). მაკდონალდი ზღვაში ჩაღუპულის გემის «ნაიტ კომანდერის» საქმის სასტიკს გამოძიებაშია.

**მალტა.** (რეიტ. სააგ.) ინგლისის სამხედრო გემი «ასტრეა» თვალ ყურს ადევნებდა «მალაკკას» 12 ივლისს ბონის კონცხიდან.

**პეტერბურგი.** «კანონთა კრებულში» დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება მცირე კრედიტის საქმის მოწყობისა. ამ კრედიტს აზრად ექმნება გაუადვილოს მხვნელ-მთესველთ, სოფლის მეურნეთ, ხელოსანთ, მრეწველთ, არტელებს, ამხანაგობათა და საზოგადოებათ თავიანთ საქმეების წარმოება და განკარგება, აგრეთვე შეძენა საჭირო იარაღისა.

**პარიჟი.** გაზ. «ტანს» აუწყებენ ტიანძინიდგან, რომ საფრანგეთის მთავრობამ, რომლის მფარველობის ქვეშაც იმყოფებიან კათოლიკენი ჩინეთში, მიანდო თავის პეკინელ ელჩს მოითხოვოს დაკმაყოფილება ბელგიელ იტაშნელ ეპისკოპოზისა, მისის ძმისა და კიდევ ერთის მისიონერის მოკვლისათვის.

**სოფია.** (ოპოზიციის მომხრეთაგან) ოსმალურ წყაროდან იუწყებიან, რომ უსკიუბის ოლქში 11 ივლისს 35 კაცი მეჯუფთენი შეებრძოლნენ ჯარსაო!! მეჯუფთე მოიკლა. გამოძიებამ გამოარკვია ვითომ, რომ ჯუფთი ბოლგარიიდამ მოვიდაო.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**
აცხადებს, რომ 28 მკათათვისათვის, დღისით, 12 საათზედ, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**
იჯარით გასაცემათ რიყის ექსპლუატაციისა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ სიპის ქვისა და ქვიშის ამოსაღებად. პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის სადგომში დილის 10 საათიდამ 1 საათამდე, საქმის დღეებში. (3—6—1).

ქუთაისში
ს. ზ. თოფურიას
**სამკურნალოში,**
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.




**საუკეთესო სააგარაკო ადგილები**
**ზედ სურამის მახლობლად**
მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,
**ისყიდება**
იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.
იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)

ქალაქი იურევი, ლიფლიანდიის გუბერნიაში.
**კერძო სავაჟო სასწავლებელი I რიგ. გუგონ ტრეფნერისა**
მოსამზადებელის კლასითა და **პანსიონით.**
ამზადებენ შეგირდებს სხვა სასწავლებლებში შესასვლელად, უმაღლეს სასწავლებლებში ეგზამენების დასაჭერად და სამხედრო სამსახურისათვის. შეგირდები მიიღებიან ყოველ დროს, სწავლების ლის პირველსაცა და მეორე ნახევარსაც. წლოვანება არ აბრკოლებს შეგირდის მიღებას. ფასი სწავლისა და შენახვისათვის 110 მ. ნახევარს წელიწადში. ძმებისათვის ფასი ნაკლებია. დაიწყება სწავლა 16 მარიამობისთვეს 1904 წ. არზის შემოტანა შეიძლება ყოველ დროს. უფრო დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება პირადად და წერილობით მიიღოს მსურველმა ქ. იურიევში (ლიფლ. გუბ.), საკუთარ სახლში, კონნაია ქუჩა, № 2.



ვერცხლის ოქროს


ტფილ. გამოფენა.




**ქარხანა**
ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)
**ა. ა. თუთაევისა**

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ხაირს ფერს ზეთით გაღესილს საღებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ნაცნობს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ალაგას. მე თითონაც დაუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეძვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დაეთმობა პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადგლო თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღალის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—2)



**ფეხსაცმელი**
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.
აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების **საუკეთესო** მაღაზიებში.




გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს.

**ტყავის საქონელი**
რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.
ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—17).


Дозволено цензурою Тифлисъ 14 іюля 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи